

1971 03C000 N7.

572
1971





ჭრელი ჩივები

მარი შავლასიანი

იყო ერთი მარტოხელა დედაბერი. მსუნა-გი კატის მეტი არავინ გააჩნდა. კაციშვილმა არ იცოდა, რა ხდებოდა მის ოთახში, რას ფუფუსვსებდა. ქუჩიდან ხვდავდნენ, რომ დედაბრის ფანჯარაზე ჭრელ-ჭრელი ჩი-

ნახატი თამაზ ხაშიშვილისა

ტებით მოჩითული მძიმე ფარდა ეკიდა. ჩიტები ისეთი ლამაზები იყვნენ, ერთი შეხედვით ცოცხლები გვეგონებოდათ. დიდი, მწუნეთვლებიანი კატა სულ ფანჯარასთან იყო ჩასაფრებული, ხანდახან თათსაც ებაჭრავდა ხოლმე ფარდას: ხომ არ მატყუებენ ჩიტები, ცოცხლები ხომ არ არიანო.

მეზობლის ქალები რომ ჩაივილიდნენ მოხუცის ფანჯარასთან, ერთმანეთს ასე ჩაულაპარაკებდნენ:




— ნეტავ რად უნდა ამ ბებრუხუნას ასეთი ჩიტებიანი ფარდაო...

კაცები რომ ჩაივილიდნენ, ჩაილიმებდნენ:

— ქალებს სიბერეშიც უყვართ ჭრელა-ჭრულაო...

ცელი ბიჭები კი ხელს აუქნევდნენ ხოლმე ჩიტებს, დაუსტვენდნენ კიდეც. ფარდა ისე შეირჩეოდა ამ დროს, თითქოს ჩიტებს გული შეუფრთხილდათო. ფანჯარასთან მინაბული კატაც თვალებს დატყუტდა, წამოიწვიდა, მაგრამ ბიჭები სიცილ-ხარხარით გარბოდნენ და ისე თვლემდა ყველაფერი მოხუცის ფანჯარაში.

სწორედ ამ ქუჩაზე ცხოვრობდა პატარა გოგონა—ფიქრია, რომელსაც კაკლის მურაბასავით შავი, ფიქრიანი თვალები ჰქონდა. ფიქრია ყოველდღე მოდიოდა დედაბრის ფანჯარასთან და ფარდაზე შეფენილ ჭრელ, ლაბუა ჩიტებს ჩუმად ვეფრებოდა. მხოლოდ ფიქრიამ იცოდა, რომ ჩიტები ცოცხლები იყვნენ; გოგონა რომ მივიდოდა ფანჯარასთან, ისინი ყოველთვის ჟღურტულვებდნენ. ფიქრია და ჩიტები ისე ჩუმად საუბრობდნენ,





ყურებდაცკვეტილ კატასაც არ ესმოდა.

— მთელი დღე გელოდებით, ერთხელ მაინც გაიხსნებოდეს ეს მტკრიანი ფანჯარა, რომ შენთან გამოფერინდეთო, — ეუბნებოდნენ ჩიტები.

— თქვე საწყლებო, თქვენნი ამხანაგები ვართ დაფრინავენ, თქვენ კი ჭრელ ბუმბულეებზე ქვარტილი მოგდებიათო, — სწუხდა ფიქრია.

— იქნებ როგორმე წაგვიყვანო შენთან, ამ კატისაგან ხომ სულ გული გვაქვს ვახეთქილიო.

— ნეტავი მართლა ჩემები იყოთ, დაგბანდით, ბაღში გასეირნებდით და ხელისგულზე გაქმევდით საკენკსო...

ფიქრიას სიბრალოულით ეცხებოდა შავი თვალები და გულდარდიანი ბრუნდებოდა შინ. ფარდა კი ნელა ირწეოდა, თითქოს სუნთქავსო.

და აი, რამდენი დღე გავიდა, რაც ფიქრია აღარ გამოჩნდა. შეშფოთდნენ ფარდაზე შეფენილი ჭრელი ჩიტები: ნამდვილად აცდგა გავიხსნა ჩვენი გოგონაო. დედაბერს ეგონა, ქარმა შემოაღო ფანჯარა, თორემ ფარდას რა აფრიალებსო. კატა აწრიალდა, დაფეთებული დასდევდა ფარდას, თითქოს ჩიტის დაჭერა უნდაო. ქარი არ იყო, ნიაფი არსაიდან შემოდიოდა ოთახში, ფარდა კი უფრო მეტად ფრიალებდა და ფრიალებდა. მერე მთელი ძალით მიენარცხა ფანჯარას, მინა ჩამსხვრია და ქუჩაში გაფრინდა.

კატა მაშინვე ეცა ფანჯარას, მაგრამ ფარდიდან ყველა ჩიტმა მოასწრო აფრენა და

მსუნავი ფისო დაფლეთილ ფარდაში გაეხვია. ჭრელმა ჩიტებმა ცაში შეინაგარდეს და ფიქრიას ოთახში შეფრინდნენ. სწორედ ამ დროს პატარა გოგონა საწოლზე წამომჯდარიყო და ჩიტების ამბავს უყვებოდა დედას. ჩიტებმა ჟღერტულით ააესეს ოთახი...



გლობა

დაჰპატიჟა კახამ დალი,
დაუკრიფა კახამზალი.
სულ შეჭამა დალიმ განა? —
ძამიკოსკენ გააქანა.



გაფუხული

— პა-პა-პა-პა! — ამბობს პაპა, —
სიცხეა და პაპანება.
— საბანაოდ წასვლა მინდა,
გთხოვ, რომ მომცე, პაპა, ნება.



უკმედი ბიჭი

უშანგი გულია

ნახატები მანანა შორჩილაძისა

ბიჭი საჭმელს არ ჭამდა, ყოველთვის რაღაცას იმიზეზებდა. თუ ჭამდა, ისიც ძალიან ცოტას.

დღემ ექიმთან მიიყვანა. ექიმმა ბიჭი გასინჯა-გამოსინჯა, წამლად „კალცი“ გამოუწერა, — ეს ასეო. მაგრამ ბიჭი არა სვამდა; იზიზღებდა, — შწარუაო.

ერთხელ ბიჭის მამამ შინ ფრთამოტეხილი შოშია მოიყვანა.

— როცა ფრთა მოურჩება, მამინ გავუშვებო, — თქვა მამამ და შოშია გალიაში მოათავსა. გადიოდა დღეები, შოშია არცა სვამდა და

და არცა ჭამდა. დღითიდღე სუსტდებოდა, ბუმბული ებურძენებოდა; ბოლოს ისე დასუსტდა, ფეხზე ძლიესლა დგებოდა. ბიჭს ეცოდებოდა, უნდოდა, შოშიას როგორმე დახმარებოდა და გაახსენდა წამალი — „კალცი“.

ბიჭი შოშიას ჩუმჩუმად „კალცს“ ასმევდა. არ გასულა დიდი ხანი; შოშიამ საკენკის კენკვას უხშირა, ბუმბულიც დაულაგდა და აუბზინდა. ბიჭს გაუხარდა, ექიმის გამოწერილმა წამალმა შოშია რომ გამოაყვია, ადგა და თვითონაც დაიწყო „კალცის“ სმა.





ილ. სანთლინოვი

დედამ დეპეშა ჩაიკითხა, გაიღიმა და შურიკს მოლბრუნდა:

— მამა ჩამოდის!..

— მამა ჩამოდის! მამა ჩამოდის!—ყვირილი ატეხა შურიკმა.

შურიკის მამა წყადქვეშა ნავის კაპიტანია, ნამდვილი სამხედრო წყადქვეშა ნავისა; ახლა შვებულებით ჩამოდის.

მეორე დღეს დედა და შურიკი მამას აეროდრომზე დახვდნენ.

მამა თვითმფრინავიდან გამოვიდა, შავი შინელი ვეცვა, ზედ ოქროსფერი ლილეები უბრწყინავდა, სახელვაო ქუდი ეხურა. ჯერ შურიკი გადა-

ნახატები ზურაბ კაპანაძისა

კოცნა, მერე—დედა... მერე—ისევ შურიკი.

შინ ტაქსით გაემგზავრნენ, სახლს რომ მიუახლოვდნენ, მამამ თქვა:

— მოდით, ცოტაც ფეხით გავიაროთ. ძალიან მომენატრა ჩვენი ქადაკი!

— გავიაროთ! გავიაროთ!—გაუხარდა შურიკს, მამასთან ერთად ფეხით სეირნობა ყველფერს ერჩია.

ნაწვიმარი იყო. ტროტუარებზე ადგილ-ადგილ გუბეები იდგა. ზოგან—დიდი, ზოგან—პატარა. დიდ გუბეებს გვერდს უვლიდნენ, პატარებს კი შურიკი ზედ ახტებოდა.

მერე დედამ და მამამ აქეთ-იქიდან ჩასჰიდეს

ხელი და შურიკი დიდ გუმბებსაც თავს გადაეგ-
დებოდა ხოლმე.

— მამა, მამამე რამე წყაღქვეშა ნავზე,—
სთხოვა შურიკმა.

— წყაღქვეშა ნავზე? აბა, რა გიამბო?

მამა ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მერე თქვა:

— კეთილი, მომისმინე, გიამბობ ვინ წყაღ-
ქვეშა ნავზე. ამ წყაღქვეშა ნავს ატომურს ეძა-
ხიან, იგი ძალიან დამაზი, ძლიერი და სწრაფია.
მან მრავალი ზღვა და ოკეანე მოიარა, ახლახან
კი ჩრდილო პოლუსზეც იყო. თუ იცი, რა არის
ჩრდილო პოლუსი?

— ვიცი,—ტოკმანით მიუგო შურიკმა.

— ჩრდილო პოლუსი დედამიწის ის ნაწი-
ლია, სადაც მარადი სიცივე სუფევს და ირგვლივ
მარადი ყინულია... ყინულის ქვეშ კი ვევბერთელა
ცივი ოკეანება, რომელსაც სახელიც შესაფერისი
ქვია: ჩრდილო ყინულგვანი... და აი, ერთხელ
ატომური წყაღქვეშა ნავის მეთაური აღმირაღმა
გამოიძახა და უთხრა: „თქვენ და თქვენს მამაც
მეზღაპურებს ჩვენი სამშობლო საპატიო დავა-
ლებას გაკისრებთ: რაღაც არ უნდა დაგვიღეთ,
თქვენი წყაღქვეშა ნავით ყინულის ქვეშ უნდა
გასცურათ და ჩაალწიოთ ჩრდილო პოლუსამდე“.
„არის!“—მხერულად უპასუხა მეთაურმა.

და, აი, წყაღქვეშა ნავი ძნელ და სახიფათო
გზას დაადგა. ყინულმა გზა გადაუღობა, მაგრამ
წყაღქვეშა ნავმა ღრმად ჩაყვინთა და ყინულქვეშ
გასცურა. წყაღქვეშა ნავი წინ მიიწეოდა, ყინუ-
ლის ფენა სულ უფრო და უფრო სქელდებოდა...

მეზღაპურები მამაცი ადამიანები იყვნენ. ნა-
ვი მიცურავდა, ზემოთ
კი ყინულის მინდვრები
გაჭიმულიყო, ყინულის
მინდვრებზე უბარმაზარი
თეთრი დათვები დაბო-
რილობდნენ. თეთრი და-
თვები დარწმუნებულნი
იყვნენ, რომ აქ მხოლოდ
ისინი მეფობენ. მათ, რა
თქმა უნდა, არ იცო-
დნენ, მარადიული ყინუ-
ლის საფარქვეშ უხმაუ-
როდ რომ მისრიალებდა
წყაღქვეშა ნავი.

მეთაურს პირდაპირ ჩრდილო პოლუსისაკენ მი-
ჰყავდა ნავი და აი, ერთ მშვენიერ დღეს, კიდევ
მიალწიეს ჩრდილო პოლუსს. ახლა უნდა ამოტვი-
ტივებუდიყვნენ, მაგრამ როგორ? თავზე ხომ მა-
რადიული ყინულის საფარველი გადაჰკვროდა ნავს!

მეზღაპურები დატრიალდნენ, ყინულის თხელი
საფარველის ძებნას შეუდგნენ. „ზედაპირისაკენ!“—
ბრძანა მეთაურმა. წყაღქვეშა ნავმა დაამსხვრია
ყინული, ამოტვიტივდა წყლის ზედაპირზე და სწო-
რედ რომ ჩრდილო პოლუსზე აღმოჩნდა. ირგვლივ,
სადაც თვალი გადასწვდებოდა, მხოლოდ ყინულის
ღოღები და შაქარყინულივით თეთრი ხრამუნა
თოვლი ჩანდა, სხვა არაფერი. თეთრი დათვები
კი არსად იყვნენ, აღბათ ისინიც ვერ ზედავდნენ
აქეთ წამოხვალს.

— მერე, მერე რა მოხდა?—მოუთმენლობისა-
გან აღაზ იცოდა, რა ექნა შურიკს.

— მერე მამაცი მეზღაპურები ყინულზე გად-
მოსხდნენ და ყველაზე მალადი ყინულის ღოდზე
საბჭოთა აღამი ააფრიალეს, შემდეგ მწყობრში
ჩადგნენ, გასწორდნენ და სამჯერ ისეთი „ვაშა“
დასქუქეს, რომ მთელ ჩრდილო პოლუსს გადასწვდა
მათი ხმა. მამაცმა მეზღაპურებმა ფეხბურთიც
კი ითამაშეს ყინულის მოედანზე, იგუნდავეს,
ცივმა სუფთა ჰაერმა ძალზე გაახალისა ბიჭები.



ბოლოს კი წყალქვეშა ნავში დაბრუნდნენ. ნავმა ისევ სიღრმეს მისცა თავი, ჩრდილ პოლუსზე კვლავ სიჩუმე და უდაბნოებური მყუდროება გა-
მეფდა, თითქმის ადამიანს აქ არც არასოდეს დაედ-
გა ფეხი. მარტოოდენ ნამგაღ-ჩაქუჩიანი წითელი
ღრუშა ფრიალებდა ქარში...

მამა შეედა, გაიღიმა და თქვა:

— აი, მოვედით კიდევ!

— მერე რა მოხდა?— შეჰყვირა შურიკმა.

— მართლაცდა, მერე რა მოხდა?— იკითხა ეგ-
დამ.

მამამ ისევ გაიღიმა და განაგრძო:

— შემდეგ წყალქვეშა ნავმა ყინულქვეშ კვლავ
გაიარა ძნელი და სახიფათო გზა და უკან დაბ-
რუნდა. პირნათლად შეასრულა სამშობლოს დავა-
ლება. ყველა მამაცი მებრვალური სამშობლომ
ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა. მეთაურს
კი საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს.

— მამა, იმ ნავის მეთაურს გვაჩვენებენ?
ღვეთბორით?

— ვისა?!— გაუკვირდა მამას.

— იმ წყალქვეშა ნავის კაპიტანს, საბჭოთა
კავშირის გმირი რომ არის.

მამას გაეცინა:

— არ ვიცი, შევიღო, არ ვიცი, აღბათ, არა.

— რატომ?!— გაუღი დასწყდა შურიკს.

— მართლაცდა, რატომ არ უნდა გვაჩვენონ?!—
ჰკითხა ეგდამაც.

— იმიტომ, რომ ეს არც თუ აუცილებელი
ამბავია სამხედრო პირისათვის, — მოუგო მა-
მამ— მე მგონი, თვითონაც არ მოიხსენებდა,
ისიც ხომ ჩვეულებრივი ადამიანია.

— მაშ, ვერასოდეს ვნახავ მას!— მოიწყინა
შურიკმა.

— რა ვიცი, იქნებ ნახო კიდევ, — მხრები
აჩინა მამამ.



— აბა, როგორ ვნახო, თუ ტელევიზორით არ გამოიყვანენ?

მამამ ყურადღებით შეათვალიერა შურიკი.

— იცი, რა,—უთხრა უცებ,—თუ ალარ იწუწუნებ, პირობას გაძღვე, რომ მადე გაჩვენებ იმ მეთაურს და გაგაცნობ კიდეც. მოვრიგდით?

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. დაჰპატიჟე, სტუმრად გვეწვიოს!— თქვა დედამ. შურიკმა კი სინაჩულით შესძახა:

— მოვრიგდით! მოვრიგდით!

სიცილით შეაღეს ბინის კარი.


როცა მამამ სამხედრო ფარაჯა გაიხადა, დედამ ანაზღად გაოცებით თქვა: „ვაი!“

შურიკი დაინტერესდა, თუ რამ განაცვიფრა დედა და მამას შეზედა: მკერდზე, მუჭი ღურჯი ფერის კიტეღზე, პატარა ბაბთაზე მიმაგრებული ოქროს ვარსკვლავი უბრწყინავდა. შურიკი დაიბნა, ერთ ხანს ვერ გაიხსენა, თუ სად ენაქა ასეთი ვარსკვლავი. უცებ გაახსენდა: ასეთ ვარსკვლავებს კოსმონავტები ატარებენ. ისინი ხომ გმირები არიან.

შურიკი უფრო დაიბნა და მამას ჰკითხა:

— მამა, კოსმონავტი გახდი?

— არა,—მიუგო მამამ.—მე მეზღვაური ვიყავი და მუდამ მეზღვაურად დავგრები.



— აბა, რად მოგცეს გმირის ვარსკვლავი?

— შურიკ,—თქვა დედამ, გახსოვს, მამა რომ დავპირდა, იმ წყაღქვეშა ნავის მეთაურს გაგაცნობ, ჩრდილ პოლუსზე რომ იმოგზაურაო? ჰოდა, კიდეც გაგაცნო.

თარგმანა ირა ოკუნიჩიძე



სამთავრო
სამთავრო



ტიტლიკანა

მირონ სარგულაძე

ჭრელმა კრუსმა გამოჩეკა
ზაწაწინა წიწილები,
რომ გენასთ დაბუები,
უსათუოდ იცინებდით.
დაიზარდენ, შეიმოსნენ—
ზოგი თეთრად, ზოგი შავად,
თამაშობდნენ, ნაჯარდობდნენ,
მართლაც ღირდნენ სანახავად.



ნაბოლნარ ევლიტველაც
არ უგდებდა და-შემებს ტოლსა,
აივარ ტანი, მაგრამ
ბუძბუძლით ვერ შეიმოსა.

ვეელა იმას იბრევებდა,
დასცინოდნენ სშირად თანაც,
აბრსებდნენ, ეპასოდნენ:
— ტიტლიკანა, ტიტლიკანა.

დედას გული უკვებობდა,
რომ ჩაგრაგდა მის შვილს ვეელა,
ჰოდა, ამ ჩვენს ტიტლიკანას
კოსტა ჩოხს შეუკვრა.
ეხოში რომ გამოვიდა,
გაუსეთქა გული ქათმებს,
იმასოდნენ:—თავს ვუძველოთ,
გაიფანტნენ იქით-აქეთ.
— სად გარბისართ, აქ მობრძანდით,
გემინიათ ჩემი, განა?!

ბა, ახლაც დამიხსეთ:
— ტიტლიკანა, ტიტლიკანა!

ნახატი ზურაბ შორაჩხიძისა



პატარა დინოზავრის ეზივი



მურამ პეპრიაშვილი

მინდორზე დინოზავრები ძოვდნენ ბალახს. ისინი უზარმაზარნი იყვნენ. მგონი, ოცი სპილოსხელა მინც იქნებოდა თითოეული.

საშინელი ზარმაცები იყვნენ. განძრევაც კი ეზარებოდათ. იდგნენ ერთ ადგილას და გრძელ კისრებს იწვდიდნენ აქეთ-იქით. მხოლოდ მაშინ გადასდგამდნენ ნაბიჯს, მთლად რომ მოატიტვლებდნენ ირგვლივ ბალახისაგან მიწას.

ძოვდნენ წყნარად, ყბების ქნევით ტკებოდნენ. არ ჩქარობდნენ. ან კი სად ეჩქარებოდათ, — ბალახი თავზესაყრელად ჰქონდათ.

გადიოდა დრო... იზადებოდნენ პატარა დინოზავრები, სწავლობდნენ ბალახის ძოვას, იქცეოდნენ დიდ დინოზავრებად, ძოვდნენ მშვიდად და აუჩქარებლად...

მაგრამ ერთხელ ერთმა პატარა დინოზავრმა მოულოდნელად ძოვა შეწყვიტა და თავი მაღლა ასწია.

ასწია თავი, ნელა ამართა კისერი.

გრძელი კისერი მარტო ბალახის ძოვისათვის როდი ყოფილა საჭირო! — კისერი თურმე იმისათვისაც გაეჭა, რომ მაღლა გეჭიროს თავი.

ნახატები თანამის სამსონაძისა

„უჰ, რა კარგი ყოფილა, რომ აიწვიე თავს და აიხვდავ მაღლა!...“

აიხვდა პატარა დინოზავრმა და დიდი ლურჯი თალი დანახა. ლამაზი იყო თალი და თაღზე წითელი ბურთი ენთო.

— დედა, აგერ ის რა არის?

დედა დინოზავრი აუჩქარებლად ძოვდა და არც გაუგია შვილის შეკითხვა.

ეწყინა პატარა დინოზავრს. დედას გაეცალა და სხვა დინოზავრებისაკენ გაემართა. უჭირდა სიარული, დიდი კუდიც უშლიდა ხელს, — მიწაზე მისთრევდა და უკან ექაჩებოდა.

— რა არის ის წითელი ბურთი? — ეკითხებოდა პატარა დინოზავრი ყველას, მაგრამ არავის ესმოდა მისი.

იქნებ მათ უფრომდე ვერც აღწევდა პატარა დინოზავრის ხმა! მას ხომ თავი მაღლა ჰქონდა აწეული, დინოზავრებს კი ბალახში ჰქონდათ ჩაფლული.

პატარა დინოზავრი დაღონდა. განზე გადაგა და ნადვლიანად შეჭყურებდა წითელ ბურთს.

ბურთმა გადაიარა თალი და მინდვრის კიდეც

მიეფარა. დაბნელდა.

დინოზავრებმა ბალახის ძოვას თავი ანებეს და ჩაიძინეს. ჩაეძინა პატარა დინოზავრსაც.

მან არ იცოდა, რომ წითელმა ბურთმაც შეამჩნია იგი, ეს წითელი ბურთი მზე იყო!

დიდი ხანია მზე გაბრაზებული იყო დინოზავრებზე: სწყინდა, რომ დინოზავრებს დღენიადაგ ბალახში ჰქონდათ თავი ჩარგული და მას ყურადღებასაც არ აქცევდნენ.

ახლა, პატარა დინოზავრი მთელი დღე რომ შეშუპურებდა, მზემ უზომოდ გაიხიზა. თქვენ წარმოიდგინეთ, ისე გაეხიზა, რომ ღამით მიეპარა და შუბლზე აკოცა.

დიღით დინოზავრებმა სიცილი დააყარეს პატარას, ეგ რა სულელური ხალი გაქვსო შუბლზე: თურმე ოქროსფერ ლაქად დააჩნდა მზის კოცნა პატარა დინოზავრს.

ხარხარებდნენ დინოზავრები. თან იმაზეც ეციენებოდათ, მაღლა რომ აუწევია თავი ამ სულელს, ბალახი მაღლა ხომ არ ჰგონიაო.

იციონდნენ დინოზავრები... მერე უცებ ბალახი მოაგონდათ, უჰ, მოვცდითო,—თქვეს და კვლავ ღინჯად აამოძრავეს ყბები.

დედა დინოზავრი გაბრაზდა: რაღა ჩემი შვილი გამოდგა ასეთი სულელი და სასაცილოო.

პატარა დინოზავრმა კი აინუნშიც არ ჩააგდო დაცინვა და კვლავ ჰკითხა დედას: რა არის ის



წითელი ბურთიო. დედამ უთხრა: ნუ სულელობ, კისერი დაბლა დასწიე და ბალახი ძოვეო.

— კი მაგრამ, როდემდე უნდა ვძოვო ბალახი?!—გაუკვირდა პატარა დინოზავრს.



— სანამ არ დაღამდებ! უთხრა დედამ,—მერე დაიძინებ.

— რომ გათენდება რას გავაკეთებ?

— როგორ თუ რას, ბალახის ქაშას განაგრძობ!

პატარა დინოზავრი დალონდა: ესე იგი, სულ ბალახი უნდა ვძოვო და მეტო არაფერი უნდა ვაკეთოო...

— მე წავალ!...—თქვა ბოლოს.

— სად წახვალ?!— გაუკვირდა დედა დინოზავრს.

— არ ვიცი, წავალ, იქნებ ვინმემ მითხრას, რა არის ის წითელი ბურთი!

— ვერსადაც ვერ წახვალ!—გაბრაზდა დედა დინოზავრი. უზარმაზარი ფეხი კულზე დაადგა პატარა დინოზავრს და ბალახის ძოვა განაგრძო.

გაიწია პატარა დინოზავრმა. მოიკრიბა მთელი ძალ-ღონე, გაიწია და მოსწყდა კული.

— არიქა, მიშველეთო!—დაიძახა დედამ.

გამოუდგნენ დინოზავრები, მაგრამ აბა რას დაეწეოდნენ, პატარა დინოზავრს კული აღარ უშლიდა სირბილს. მირბოდა და მირბოდა.

დაბრუნდნენ დინოზავრები მინდორზე და გა-



ნგრძეს უბების ქნევა. მალე დაავიწყდათ პატარა დინოზავრი.

პატარა დინოზავრი კი დაეხეტებოდა მარტოღმარტო, მშვიერ-მწყურვალი... ისე გახდა, რომ ახლა დინოზავრები ვეღარც კი იცნობდნენ.



ბენია და ფიშო

ნოღარ შაჰანაძე

- გამარჯობა, ფისუნა!
- გაგიმარჯვოს, ბენია!
- რატომ მოგიწუენია?
- ცუგო ჩემი მტერია.
- შენ ცუგოსთან რა გინდა, საქმე შემოგეღია?
- წადი, თაგუებს მიხედე, ბელის სსვენსე კელიან.



11.583



რატომ ტიკი?

ირაკლი გომოლაური

- რატომ ტირი, ბიჭუკეღა, რად არ გემღერებინანო?
- ღეღა, მამა, ბებო, წანა, სულ შენ გეფერებინანო!
- არც რას მეფერებინანო, არც რას მეძღერებინანო: მარტო მეწირებინანო, — მისთვის მეტირებინანო!

ნახატი ვახაზან გულისაშვილისა



თუმცა არც ეცალათ მისთვის. თანდათან ემატებოდათ მაღა.

მაგრამ აი, რა მოხდა: პატარა დინოზავრის სიყვარულით მზეს მცხუნვარება მოემატა და ბალახი გადახმა. დინოზავრებს დაეზარათ ბალახის საძებრად წასვლა და შიმშილით დაიხოცნენ.

პატარა დინოზავრი კვლავ დაეხეტებოდა, — ეგებ ვინმეს გადავეყარო და გავიგო, თუ რა არის ეს დიდი, წითელი ბურთიო.

ღამით კი, მასთან ჩუმად მოდიოდა მზე და ჰკოცნიდა მძინარეს.

ერთ დღილით გაიღვიძა პატარა დინოზავრმა და მშვენიერი ტყე დაინახა, ტყეში ანკარა ტბა იყო.

ჩაიხედა ტბაში პატარა დინოზავრმა და დაინახა: ოქროსფერი ლაქებით ჰქონდა ტანი დაფარული, შირაფად ქცეულიყო.

გაოცებული დაჰყურებდა თავის ანარეკლს... უცებ საოცარი ხმა მოესმა და იქით გაიხედა: ხეებზე ჩიტები იხხუნენ და ესალმებოდნენ. შირაფმა ჰკითხა, ხომ არ იციოთ, ის წითელი ბურთი რა არისო.

— მზეა, ის აცოცხლებს მიწაზე ყველაფერს, — უთხრეს ჩიტებმა. მათ ისიც იცოდნენ, რომ მზის კოცნა ანნდა შირაფს ოქროსფერი ლაქებად, მაგრამ არ უთხრეს: ვაითუ, გაყოფილიყავ.

— მზე! — დაიძახა გახარებულმა შირაფმა და მალაყებიც კი გადაიარა. ეს მალაყები რომ წინაპრებს დაენახათ, შეორედ მოკვდებოდნენ ალბათ.

ტყეში დარჩა შირაფი. დადის კისერაწვდილი და ლამაზად მიარხევს ტანს. ყველას უყვარს იგი. ყველაზე მეტად კი ჩიტებს უყვართ, — ღრუბლები რომ დაფარავენ ცას, ისინი უყურებენ შირაფის ოქროსფერი ლაქებს და იმედინად ვალობენ.



ქ ს ჳ უ ჳ ც ე რ ე






ენის გასაგები გული ზუსხა

პარაღ


მთა ამირანაშვილი

სუუენილა თეთრად მთაზე,
უღარაჯებს მწუქესი,
სალამურის საამური
მელოღია მესმის;
არც ჯოგია, არც ნახირი,
მაშ, რა არის, მითხარ,
ოთხი ბგერით გამითქმის,
არ დაფიქრდე დიდხანს.
ახლა ქართულ ანბანიდან
მეცამეტე რიგით
სიტყვას სამი ბგერის შემდეგ
ჩაუმატე შიგნით,
ბოლოს მტეგნით დახუნძლეული
მცენარეულ გვინდა...
და სახელი ქართულ მეფის
უკვე გამობრწეინდა,
ვინც ანბანი მოიგონა,
ჩემო ზაწაწინა,
მერე როდის? ოცდასამი
საუკუნის წინათ!

შეადგინა ქ. რუსთავეს სპ. სკოლის მოსწავლემ ნანა ნებერიძემ.



თავსატუნი



ჩვენმა რედაქციამ ორი ერთნაირი თავსატეხი მიიღო.


თავსატეხი შეადგინეს ღმანისის რაიონის საშ. სკოლის მოსწავლემ გიორგი ციხელაშვილმა და ქ. გალის საშ. სკოლის მოსწავლემ ლუიზა ფაცურაიამ.

ცარიელი უჯრედები შეავსეთ საქართველოს მდინარეთა თევზების სახელებით.

ჭირაფი

გიორგი ნაჩოთაი



ჭირაფი მალაღკისერა გლისერით შავ ზღვას მისერავს, — ასე რომ დაჰყავს გლისერი, არ მოიტეხოს კისერი!



თხა და გურიკი

ნუნუ ჰარსალიძე

თხა მიუწვა მურიას, ყურწკაპუნა ხტუნისა, ეუბნება: ბეეო, რამე მიაბეეო.



შთავარი რედაქტორი მუხრან მანუაშვილიანი

სარედაქციო კოლეჯია: კუპარი პოეტის სახლი, ლეილა მარაბი, ჯამალ ლოლუა, ზურაბ ლომიძე, მანუაშვილი მანუაშვილი, ირაკლი კვიციანი (პეპე მდივანი), შალვა მხარაბი (სახ. რედაქტორი), გივი ქადაგიანი საქ. აღკ. ცაიხა და ვ. ლენინის სახელობის ნორჩ პოეტთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ფურცლი. ელფე ნახატი მანანა ჯილაშვილი, 7 წ. თბილისი, გამომცემის 44 ფილა.

ტექნოლოგიური მ. გომიანი


მისამართი: რედაქციის გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; პეპე მდივანის — 93-10-32, 93-98-17; სახ. რედაქტორის — 93-98-18; განკუთ. — 93-98-19; საიდუმლოთა — 93-98-16.

გაზეთი ასაწივობად 16/III-71 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/VI-71 წ., კვადრატის ზომა 60x90¹/₁₆, ფხ. ნახ. ფურც. 25, ტირაჟი 150.500. შეჯ. № 933. „დღე“ № 7. ნა გრუინსკომ ეაჟმკ. ფხბი 20 კაბ.

საქ. კ. ცაიხის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии



08/13



საქართველო
საბავშვო
სამუშაო

- „თ ვ ღ ლ ი ს პ ა პ ა“—ნახატი ხათუნა იოსელიანისა, 5 წ. თბილისი.
- „უ ვ ა ვ ე ლ ი“—აპლიკაცია, ნახატი გოჩა ხუციშვილისა, 6 წ. წნორი.
- „ა მ წ ე“—ნახატი ბესიკ მახსურაძისა, 9 წ. რუსთავი.
- „ს პ ი ლ ო“—ნახატი ღათო მგლონიძისა, 4 წ. თბილისი.
- „გ ა შ ლ ი ს ხ ე“—ნახატი გია ყორიაშვილისა, 6 წ. ზემო მარხაანი.
- „ნ ა ტ უ რ - მ ო რ ტ ი“—ნახატი ნანა სამაშვილი-
სა, 2 წ. თბილისი.
- „გ ო გ ო ნ ა“—ნახატი ნანა ლიბრაძისა, 4 წ.
თბილისი.



76055

